



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
SAKREBULO OF MUNICIPALITY OF POTI CITY



ბრძანება: **ბ43. 4323117001**

თარიღი: **27/04/2023**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მაისის თვის სამუშაო რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/5 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მაისის თვის თანდართული სამუშაო რეგლამენტი.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ლელა ჩიჩუამ უზრუნველყოს რეგლამენტით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება.
3. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე ტყეშუჩავა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

